



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგობილ ბუქე-
უნი სიფყას, ფუილიუბით და ჭებრბით ბუბ-
თის გაცანა ყულა უკადრისებბაჟ უსამაგლისია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 21-22 სექტემბერი, 2022 წ. №147-148 (9485-9486) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

კუბინი:



რუსეთის მიერ ოკუპირებულ ლუბანსკში ე. წ. რეპრეზენტატი ბაიბარტაბაო!

რუსეთის მიერ ოკუპირებული ლუბანსკში ე.წ. რეპრეზენტატი 23-27 სექტემბერს გაიხსნება. ამის შესახებ რუსული მედიის წარს.

„ლუბანსკის სახალხო რესპუბლიკის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხზე რეფერენდუმი 23 სექტემბერს დაიწყება და 5 დღე გაგრძელდება“, – წერს ე.წ. რესპუბლიკის მთავრობა Telegram-ზე.

მიმდინარე წლის თებერვალში ლუბანსკისა და დონეცკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკებმა რუსეთს საკუთარი სუვერენიტეტის თხოვნით მიმართეს. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა შესაბამის ბრძანებებს 21 თებერვალს მოაწერა ხელი. მოგვიანებით უკრაინის სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებლობა“ აღიარეს სირიამ და ჩრდილოეთ კორეამ, ასევე საქართველოს ოკუპირებულმა რეგიონებმა – აფხაზეთმა და ცხინვალის რეგიონებმა.


პროლოგი:



ის მიწაში, სადაც რუსეთი შეიჭრა, უკრაინას დაუბრუნდება!

კითხვაზე, უნდა მიეცეს თუ არა რუსეთს უფლება შეინარჩუნოს ტერიტორიის ნაწილი, რომელიც უკრაინას წაართვა მას შემდეგ, რაც თებერვალში შეიჭრა და უნდა იყოს თუ არა ეს კონფლიქტის გადაწყვეტის ნაწილი, თურქეთის პრეზიდენტმა უპასუხა:

არა და უდავოდ არა. როდესაც ვსაუბრობთ ურთიერთშეთანხმებაზე, სწორედ ამას ვგულისხმობთ. თუკი უკრაინაში მშვიდობა დამყარდება, რა თქმა უნდა, ტერიტორიის დაბრუნება ნამდვილად მნიშვნელოვანი გახდება. ეს არის ის, რაც მოსალოდნელია. ეს არის ის, რაც სასურველია. პუტინმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა. ჩვენ გარკვეული ნაბიჯები გადავდგით. ის მიწები, სადაც რუსეთი შეიჭრა, უკრაინას დაუბრუნდება.



დიდი მერაბ ბერძენიშვილის ბახსენება

იმისი წელი გავიდა მერაბ ბერძენიშვილის გარდაცვალებიდან, 2016 წლის 17 სექტემბერს დატოვა მან ეს წუთისოფელი. ჩვენგან წავიდა უდიდესი ხელოვანი, ჭეშმარიტი მამულიშვილი და ბრწყინვალე პიროვნება.

მერაბ ბერძენიშვილი იყო მსოფლიოში ცნობილი ქართველი მოქანდაკე, ფერმწერი და გრაფიკოსი, საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

ბატონი მერაბის სახით საქართველომ დაკარგა არა მარტო როგორც უდიდესი ხელოვანი, არამედ როგორც უაღრესად კეთილშობილი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული და მის მომავალზე ფიქრით დამაშვრალი ადამიანი. მისი სახელი სამარადისოდ შევა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს დაიკავებს ღირსეულ ქართველ მამულიშვილთა გვერდით.

მერაბ ბერძენიშვილის ნათელი ხსოვნა ყოველთვის დარჩება თავის მამულზე შეყვარებული თითოეული ქართველის გულში.

მერაბ ბერძენიშვილის ჭეშმარიტად მომწონს ხელოვნება საქართველოს გადარჩენის, ალორძინების და მარადიულობის სიმბოლოა!

თამაზ შილაპაძე,

საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე, აკადემიკოსი



კიდევაც დაიხრებინან...

რაბომ დასვენს ყასაბი ხორსის დახლიდან გადალ თანამედრობაზე?

მაინც ვისი იხედით ტლიკინებს აგდას გოგაშვილი?!



მძარცველი და თავდასხმელი „საქართველოს ბანკში“

ქუთაისში, რუსთაველის გამზირზე, კიკვიძის ბაღის მიმდებარედ, „საქართველოს ბანკის“ ფილიალიდან რამდენიმე მძევალი გათავისუფლებულია. ბანკის ფილიალში შეიარაღებული პირი 20 სექტემბერს, დილით შეიჭრა. ის 2 მილიონ დოლარს ითხოვდა და აცხადებდა, რომ ბანკში ასაფეთქებელი მონაცემები დაამონტაჟა. უსს-ს ინფორმაციით, თავდაპირველად, თავდამსხმელს 12 მძევალი ჰყავდა აყვანილი. ადგილზე ჩავიდა შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური...

თავდამსხმელის გაუფრთხილებლობის ოპერაცია გვიანობამდე გრძელდებოდა. ოპერაცია მშვიდობიანად დასრულდა. თავდამსხმელი დაკავებულია.



მურაბნ თავღიშვილი:

ბროფესორის ტელე- 6-7 მარტვილობა



რუსთველი და თანამედროვე სჯანი

ზურაბ პაპრიაშვილი:

საქართველოს 9 ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდება!



ირაკლი კობახიძე: სიძულვილის ენის რეგულირება პარლამენტის პირდაპირი მოთხოვნაა!

„მართალი ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, სიძულვილის ენის რეგულირების შესახებ კანონპროექტის დამტკიცება ევროკავშირის პირდაპირი მოთხოვნაა და მისი პრინციპები ევროკავშირის მოთხოვნებს შეესაბამება.



„სიძულვილის ენის რეგულირება ევროკავშირის პირდაპირი მოთხოვნაა. თვის ბოლომდე, ამ კანონს პირველი მოსმენით თუ არ მივიღებთ, შეიძლება, ქვეყანა ერთ-ერთი ევროპული ორგანიზაციიდან გარიცხონ. ევროკავშირის მოთხოვნაა, რომ ეს კანონი მივიღოთ და თქვენ მუშაობით (მიმართავს ყურნალისტს), რომ ეს კანონპროექტი ევროკავშირში ინტეგრაციას შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს? მაქსიმალურად რბილად (კანონპროექტი) ჩამოყალიბებული – საუბარია სიძულვილის ენაზე, ვინაობა განმარტებული სიძულვილის ენა, თუ ვინმე სიძულვილის ენას იყენებს, ჯარიმა ეკისრება. ეს არის ევროკავშირის პირდაპირი მოთხოვნა. კანონპროექტის პრინციპები ევროკავშირის მოთხოვნებს შეესაბამება“, – აცხადებს ირაკლი კობახიძე.

მისივე თქმით, კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღებამდე, ევროკავშირის სტრუქტურებთან ინტენსიური კონსულტაციები იგეგმება.

საჯაროდ კითხვების დასმის მომსრე არ ვიყავით და დღესაც არ ვართ!

საუბარია ოთხ დეპუტატზე, რომლებიც ხალხმა აირჩია. ისინი სვამენ კითხვებს, რაც არის დემოკრატიის ნაწილი. კითხვები არის ლეგიტიმური და საელჩოს შეუძლია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. ეს მათი პრეროგატივაა, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძემ მოძრაობა „ხალხის ძალის“ მორიგი განცხადების შეფასებისას განაცხადა. მმართველი პარტია არ იყო და არც დღეს არის სა-

ჯაროდ კითხვების დასმის მომსრე, მაგრამ კითხვების დასმა დეპუტატების ლეგიტიმური უფლებაა.

„საუბარია ოთხ დეპუტატზე, რომლებიც ხალხმა აირჩია. ისინი სვამენ კითხვებს, რაც არის დემოკრატიის ნაწილი. კითხვები არის ლეგიტიმური და საელჩოს შეუძლია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. ეს მათი პრეროგატივაა. მე რა პასუხი უნდა მიქონდეს, მე არ ვარ კითხვების ადრესატი. რაც შეეხება კონკრეტულად კითხვას, საჯაროდ დაისვა კითხვა – ჩვენ ამის მომხრე არ ვიყავით და დღესაც არ ვაქვს. ძალიან მარტივად საელჩოს შეუძლია დეტალურად გაშალოს ინფორმაცია, რაზე ისარყება ეს თანხები. ხომ დამთავრდება ამით ყველაფერი? ჩვენ საჯაროდ კითხვის დასმა შეიძლება არ მოგვწონდეს, მაგრამ ეს მათი ლეგიტიმური უფლებაა. დასვეს კითხვები და თუ პასუხები იქნება გაცემული, საელჩოს შეუძლია დაამტკიცოს, რისთვის არის განკუთვნილი ეს თანხები“, – აცხადებს კობახიძე.

მოძრაობა „ხალხის ძალის“ განცხადებით, საზოგადოება უნდა დაინტერესდეს, თუ რა მიზნით გამოყოფდა აშშ-ის ხელი-სუფლება საქართველოზე თანხებს და რა ინტერესის საპირსონედ გვახსენებენ დღეს ასე ხშირად ე.წ. 6-მილიარდიან დახმარებას.

საპარლამენტო უპრავლსოვის რიგები არ უნდა შეშინდეს

მმართველი გუნდისთვის მნიშვნელოვანია, რომ საპარლამენტო უპრავლსოვის რიგები არ შეშინდეს, – ამის შესახებ ჟურნალისტებს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განუცხადა. მისივე თქმით, მათი სურვილია, რომ ფრაქციასა და პარტიაში წევრების რაოდენობა შენარჩუნდეს.

„ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ უპრავლსოვის რიგები არ შეშინდეს. როგორც მოგვსვენება, ეს ოთხი დეპუტატი არის უპრავლსოვის წევრი. რაც შეეხება ფრაქციასა და პარტიის საკითხებს, ჩვენთვის პარტიასა და ფრაქციაში ჩვენი წევრების შენარჩუნება მნიშვნელოვანია. ვნახოთ, როგორ განვითარდება პროცესები. ჩვენი სურვილია, რომ ფრაქციასა და პარტიაში წევრების რაოდენობა შენარჩუნდეს. ჩვენ ამაზე კონსულტაციები არ გვქონია. მათ დააინტერესეს გაფართოება, როგორც გავიგეთ დეპუტატების ხარჯზე“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.



რა დაკარგა პუტინმა?!

მას შიშობ, რაც პუტინმა მითად უცნაური განცხადება გააკეთა, რომ უკრაინაში საცოცხარაციო რუსეთის არაფერი დაუპარბავს, ბაჩნაძე იძი, სო არ აზრადებს პუტინი საუბარს მოსახლეობას დაგარტყანისთვის?

ცხადია, რუსი ლიდერებისთვის არაფერს ნიშნავს ადამიანური მსხვერპლის გაღება, თუკი საქმე ეხება დიდ მიზანს, ანუ ე.წ. რუსული მიწების შემოკრებას, მაგრამ ის ფაქტი, რომ რუსებს უკრაინაში შეჭრით არაფერი დაუპარბავთ, იმ რუსი ჯარისკაცების შეურაცხყოფაა, რომლებიც უკრაინის სასაჯლოს შეეწირნენ.

„დარწმუნებული ვარ, არაფერი დაგვიკარგავს და არც დაგვარგავთ. მთავარი შენაძენი არის ჩვენი სუვერენიტეტის განმტკიცება“, – მიიჩნევს პუტინი. „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძემ ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ პუტინი მუშაობს გამარჯვებისთვის, თუმცა რა მიზანია მას გამარჯვება და რა ნაგებად, ეს ცალკე თემაა.

„მე ვთვლი, როდესაც მართლმადიდებლურ ქვეყნებს ერთმანეთს ანოცინებენ, ეს იქნება უკრაინა, რუსეთი, თუ საქართველო, ეს უკვე ტრაგედიაა. ამაზე გლობალურად რომ იფიქროს პუტინმა და უკრაინამაც, უკეთესი იქნება. უნდა დაფიქრდნენ, ვიღაც სხვა ხომ არ პროვოცირებს ამ ყველაფერს, რომ მართლმადიდებლების რიცხვი რაც შეიძლება შემცირდეს, ჯერ საერთოდ, მოსახლეობის რიცხვი შემცირდეს დედაამინაზე და, მით უმეტეს, მართლმადიდებლების. ამაზე უნდა დაფიქრდეს მთლიანად მართლმადიდებლური სამყარო. ამის ანალიზი უნდა ხდებოდეს მართლმადიდებლურ ქვეყნებში, რაღაც ხომ არ მუშაობს ისეთი ჩვენს ზურგსუკან, რომელიც უზრუნველყოფს, რაც შეიძლება ნაკლები მართლმადიდებელი დარჩეს დედაამინაზე და მარტივად მოსარევეები გახდნენ მართლმადიდებლები. დავაკვირდეთ, ვის შორისაა ომები, ვინ ხოცავს ერთმანეთს?“ – აცხადებს ნანა კაკაბაძე, რომ-

ლის აზრითაც, ამის გააზრება რომ არ ხდება პუტინის მხრიდან, სწორედ ამის გამო ზოგიერთებს ეჭვი უჩნდებათ, ხომ არ არის პუტინი ამერიკის აგენტი?

ამდენად, ნანა კაკაბაძე მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით უნდა დაფიქრდეს არა მარტო პუტინი, არამედ უკრაინაში ჯანსაღი მორწმუნე ძალა. ამ შემთხვევაში, ნანა კაკაბაძე ზელენსკის არ გულსიმობს, რომელიც, მისი თქმით, მართლმადიდებელი არ არის. ნანა კაკაბაძის აზრით, უნდა გავერთიანდეთ მორწმუნე მართლმადიდებლები, დავუკავშირდეთ ერთმანეთს და ვიფიქროთ, როგორ გადავრჩეთ და გადავარჩინოთ ჩვენი მართლმადიდებლობა. ზოგადად, შეტევა მართლმადიდებლობაზე ლიბერალების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უფრო მკაფიო გახდა. ეს ლიბერალები ოპოზიციაში რომ იყვნენ, მაშინაც ებრძოდნენ ეკლესიას და შემდეგ მთელი თავიანთი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, ფაქტობრივად, ომი ჰქონდათ გამოცხადებული საპატრიარქოსა და ეკლესიის წინააღმდეგ. ის, რა კამპანიებიცაა აგორებული პატრიარქის და საპატრიარქოს წინააღმდეგ, ამ ხალხის მოწყობილია.

„ეს მოხდა ჩვენი ქვეყნის შიგნით, ხოლო ჩვენი ქვეყნის გარეთ, ის, რაც სერბებს და კოსოვოს დამართეს, ესეც ნათელი პოლიტიკაა. საინტერესოა, რა პროცესები მიმდინარეობს მსოფლიოში, ეს არის დამირისპირება ნატოსთან, თუ მართლმადიდებლობასთან?“, – აღნიშნა ნანა კაკაბაძემ. პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე აცხადებს, რომ პუტინი ჩეკისტია, ეს კი ნიშნავს, რომ პუტინი სულ სხვა ჩამოსხმის, სხვა ფორმაციის ადამიანია, მისი სისხლი სხვა-ნაირია, კვბ-ს აზროვნება განსხვავებულია. ამდენად, პუტინი ცოცხალი თავით არ მოეშვევა უკრაინას.

„ბოლო 30 წლის განმავლობაში, როცა ამერიკამ და ევროპამ ყურადღება გააძლიანეს საკუთარი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებაზე, სოციალურ ხარჯებზე, პუტინი მსოფლიო ორ ქალაქზე ზრუნავდა – მოსკოვსა და პეტერბურგზე, თავდაცვის მინისტრ შოიგუს სამშობლოში გაზიც არ იყო შეყვანილი და უნიტაზი არ იცოდა, რა არის, ჩემ-მა აქვთ ეზოში. ამ დროს პუტინი ზრუნავდა შეიარაღებაზე. ეს მოძველებული ჭურვები პუტინს არ ადარდებდა, რომელიც მიზანში ვერ სვდება, პუტინი ხარკოვში ურტყამს, ხარკოვის ერთ ქუჩაზე თუ ვერ დაანგრევს სახლს, მეორე ქუჩაზე ხომ დაანგრევს?“ – აცხადებს სოსო ცინცაძე.

მისი თქმით, რუსებს ასეთი გამოთქმაც აქვთ, „ფასი ჩვენთვის არაფერია“, ასე რომ, პუტინი ნებისმიერ ფასს გადაიხდის. სულ რაღაც 7-8%-ია მოსკოვიდან და პეტერბურგიდან განვეულ წვევამდელთა რიცხვი, უკრაინაში ძირითადად იბრძვიან ჩრდილოეთ კავკასიიდან, დაღესტნიდან, რადგან ახალგაზრდებს სხვა ალტერნატივა არ აქვთ – დაღესტანში ახალგაზრდა კაცი ან მოჭრიდავე უნდა გამოვიდეს, ან ჯარში გაიკეთოს კარიერა...

მოამზადა მანანა ნოზაძემ



სამართლებლო თვალსაზრისით მინისტრი რუსეთის მუხარამ მუმიდად უპასუხებს!

„ჩვენი არჩეული პოლიტიკა არის მშვიდობა და ჩვენი ოპორტიონული ტერიტორიების ინტეგრაცია განხილვა მხოლოდ მშვიდობის გზით და ეს არაპოზიტივი შემთხვევაში არ გავის მილიტარისტულ გზაზე“, – განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ.

თავდაცვის მინისტრმა უპასუხა ჟურნალისტის შეკითხვას, რომელიც ეხებოდა რუსეთის მხრიდან საქართველო-ნატოს ერთობლივ წვრთნებზე გაკეთებულ განცხადებას. ჯუანშერ ბურჭულაძის თქმით, ეს იყო გეგმიური წვრთნა, რომელიც საქართველოში უკვე შექმნილი ჩატარდა.

„ამელირება, რომ ჩვენ მილიტარიზაციის გზას ვირჩევთ, არ არის სწორი. არანაირი ტექნიკა წვრთნების დასრულების შემდეგ ჩვენთან არ დარჩენილა. ჩვენ ვაგრძელებთ პარტნიორებთან იმ ურთიერთობას, რაც გვქონდა. არაფერი განსაკუთრებული ამაში არ ყოფილა“, – აღნიშნა მან.

თავდაცვის მინისტრმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ამგვარ საუბარს, შესაძლოა, პრევენციული ხასიათი ჰქონდეს. „კიდევ ერთხელ შემიძლია დავარწმუნო ყველა, რომ წყნარად იყოს. ჩვენი მხრიდან არანაირი საფრთხე არ არის არც საქართველოს ძირძველი ტერიტორიების მიმართ და, მით უმეტეს, რეგიონში“, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

ცნობისთვის: რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში უკმაყოფილება გამოთქვეს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ჩატარებული მრავალწლოვანი სამხედრო სწავლება ღირსეული პარტნიორი 2022-ის (Noble Partner 2022) ფარგლებში მუშავდებოდა NATO-ს მძიმე ტექნიკის ევროპიდან საქართველოში გადატანა.

„მოსკოვში ყურადღება მიაქცის იმას, რომ ცოტა ხნის წინ დასრულებულ Noble Partner 2-ის ორკვირიანი მარავალწლოვანი ვარჯიშების ფარგლებში შემუშავებული იყო (NATO) ბლოკის მძიმე სამხედრო ტექნიკის ევროპიდან საქართველოში გადასროლა, ამჯერად სახმელეთო გზით, თურქეთის გავლით“, – განაცხადა რუსულ პროპაგანდისტულ მედიარესურსთან რუსეთის საგარეო სამინისტროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნების მეოთხე დეპარტამენტის დირექტორმა დენის გონჩაროვმა.

მისი თქმით, მოსკოვი ხედავს საქართველოს NATO-ში „მათივე“ განგრძობით კურსს, „მათ შორის, ქვეყნის თანამედროვე სახის შეიარაღებით გატენვითა და აშშ-ისა და ალიანსის ქვეყნების მონაწილეობით, მის ტერიტორიაზე რეგულარული სამხედრო სწავლებების ჩატარებით“.

როგორც რუსი საჯარო მოხელე ირწმუნება, ეს არის გამომწვევა არა მხოლოდ რუსეთისა და მისი მოკავშირეების ინტერესებისთვის, არამედ ეს „უქმის სერიოზულ საფრთხეს სტაბილურობასა და უსაფრთხოებას მთელ სამხრეთ კავკასიაში“. საქართველოსთვის „არსებითი დახმარების“ მომხრეები უნდა აცნობიერებდნენ საკუთარი პასუხისმგებლობის ზომას და ესმოდეთ, რომ თბილისისა და NATO-ს თანამშრომლობის განვითარების პრინციპული მომენტები ჩვენი მხრიდან ყველაზე სერიოზული სახით იქნება გათვალისწინებული“.

ღირსეული პარტნიორი 2022 საქართველოში სექტემბრის პირველ ნახევარში ჩატარდა. ამ წვრთნებს საქართველომ უკვე შექმნილი უმასპინძლა. ღირსეული პარტნიორი 2022-ის მიზანი იყო საქართველოს, აშშ-ის, რეგიონულ პარტნიორებსა და მოკავშირე ქვეყნებს შორის მზადყოფნისა და ურთიერთობის გაძლიერების გაზრდა შავი ზღვის რეგიონში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისთვის. ისტორიაში პირველად, სწავლებაში წელს მონაწილეობა მიიღეს იაპონიისა და შვედეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმაც.

სწავლებაში მონაწილეობდა სამართლებლო, აზრ, გულგარბითი, რუსინეთი, მოლდოვა, საბარქნეთი, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, სლოვაკეთი, ნორვეგია, უნგრეთი, ლიტვა, აზერბაიჯანი, გერმანია, პოლონეთი და პარტნიორები, ისტორიული, პოლონეთი, იაპონია, ლიტვა-პოლონეთი-უკრაინის მრავალწლოვანი ბრიტანეთი და შვედეთის შეიარაღებული ძალები.



პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, ფაქტია, ვიღაცის ინტერესი იყო, ყასაბი, ხორცის დახლიდან, ყოველგვარი სპეციალური შესწავლის გარეშე დაესვა მაღალ თანამდებობაზე. შესაბამისად, პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ საზოგადოებისთვის გასაგები უნდა იყოს, რა ხდება სოსო გოგაშვილის ბრალდებების უკან – ეს არის მისი თვითშემოქმედება იმისთვის, რომ თავი გადაიჩინოს, თუ არის სიმართლის მარცხალი? მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ მისი სიტყვების თუნდაც 10% არის სიმართლე, ეს 10% საზოგადოების წინაშე უნდა იყოს წარმოჩენილი!..

– ბატონო რამაზ, გოგაშვილი უძიმეს ბრალდებას უყენებს ხელისუფლებას, რომელიც თავისთავად არც ერთ ბრალდებას არ აღიარებს. ერთია, რას ამბობს ხელისუფლება და მეორეა ბრალდების შინაარსი. რასაკვირველია, გოგაშვილის მიმართ ნდობის ფაქტორი არ არსებობს, მაგრამ ბრალდების პოლიტიკურ ნაწილს როგორ შეაფასებდით?

– ტრიბუნა რატომ აქვს? გასაგებია, როგორც ნების, ყველა პატიმრის შემთხვევაში, ოჯახი ლაპარაკობს, მაგრამ აქ თვითონ პატიმარია გაჯგომული და ის ლაპარაკობს. ამდენი პატიმარია ქართულ ციხეში და ასეთი უნიკალური უფლებები რატომ აქვს მხოლოდ გოგაშვილს?!

– ლეგიტიმური კითხვაა, რომელზეც პასუხი ალბათ სასჯელსადასრულებამ უნდა გასცეს...

– არ ვიცი – სასჯელსადასრულებამ, თუ მმართველმა პარტიამ. იმის მიუხედავად, გოგაშვილის ნათქვამის სჯერათ თუ არა, ხელისუფლება – პარტია „ქართული ოცნება“ მას აძლევს საუბრის საშუალებას, ეს უკვე იწვევს „ქართული ოცნების“ მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას და თან ძალიან ძლიერს.

– ამ შემთხვევაში რა გზა აქვს „ქართულ ოცნებას“? ცხადია, რომ ბრალდებები, რომელსაც გოგაშვილი ახმოვანებს, მიმართულია სასჯელმწიფოს წინააღმდეგ...

– უნდა დანიშნოს გამოძიება და თუ არ დადასტურდება ბრალდება, ასეთ შემთხვევაში, ცრუ ბრალდებისთვის აღიძრას სისხლის სამართლის საქმე გოგაშვილის წინააღმდეგ. და თუ დადასტურდა, ასეთ შემთხვევაში – პირიქით, თავად გოგაშვილი უნდა იქნას გამოძიებას, რა უშლის ხელს? თუ თვლის, რომ მან დააშავა, მაშინ უნდა წარადგინოს ბრალდება. ძალიან ორღობის მდგომარეობა გამოდის, ან ბოლშევიკების სტილი – მე, ტალახს შევასხამ და მერე თვითონ მიხედოს. აი, ტალახის შესხმის დონეზე მიდის ეს პროცესი და ტალახი, როგორც ჩანს, ბევრია.

ხშირად, პარტიის წევრები ამბობენ, რომ ასე არ მანყობს, იმიტომ რომ მე დამიშავებდა. ასეთი დამოკიდებულების ყველაზე ცნობილი ილუსტრაცია იყო რეიგანის ფრაზა – „ის ვიცი, რომ მამაძალია, მაგრამ ჩვენი მამაძალია“. რეიგანი და ამერიკა სხვა ძალის პატრონია, მაგრამ თუკი პარტია ხელს აფარებს იმიტომ, რომ ერთ დროს მისიანი იყო, მაშინ ეს წამგებიანი იქნება მომავალ არჩევნებზე. თუკი გოგაშვილის ბრალდებების ტალღა მიჩქვალა „ქართულმა ოცნებამ“ და არ შეჰყვა მარტო იმიტომ, რომ მასთან დაახლოებული პირები შეიძლება აღმოჩნდნენ ეჭვის ქვეშ, წამგებიანი იქნება. ჯობია, გამოამჟღავნონ ასეთი ადამიანები.

– გოგაშვილის განცხადებების შინაარსი ადასტურებს ერთ რამეს – ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ იდგა და დგას ქვეყნის უსაფრთხოება. როგორ ფიქრობთ, რა ინტერესი აქვს სოსო გოგაშვილს და ვის ინტერესებს ემსახურება ის ბრალდებები რომელსაც ახმოვანებს?

– კლასიკა არის ოტელო. მიუხედავად იმისა, რომ დეზემონასთან უღრუბლო იყო ოტელის ურთიერთობა, იაგომ მოახერხა და ეჭვი გაუქნა, მეტი არაფერი. ამიტომ, რეალობას არ აქვს მნიშვნელობა, ეჭვი უკვე იწვევს მუშაობას. გო-

უნდა დაიწყოს გამოძიება და თუ არ დადასტურდება ბრალდება, ასეთ შემთხვევაში, ცრუ ბრალდებისთვის აღიძრას სისხლის სამართლის საქმე გოგაშვილის წინააღმდეგ, და თუ დადასტურდა, ასეთ შემთხვევაში – პირიქით, თავად გოგაშვილი უნდა იქნას გამოძიებას, რა უშლის ხელს? თუ თვლის, რომ მან დააშავა, მაშინ უნდა წარადგინოს ბრალდება.



გაშვილი ამ ეჭვების გაჩენას ცდილობს. მერე უკვე ეს ეჭვი გამოდრინის ნდობას ხელისუფლების მიმართ – ეს არის ამოცანა. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ გოგაშვილი მარტო ქართული პოლიტიკური ბრძოლის ფიგურანტია. არ არის გამოირიცხული, რომ რომელიღაც სხვა ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდეს. ბევრი ამბობს, რომ ის უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან არის კავშირში, მაგრამ აგერ შემოტრიალდა და აქეთ წამოაყვანა ბრალდება. ამას კი, მოვლა უნდა. თუ არ დაამტკიცებენ, მაშინ შეიძლება გამოიღებოს.

– ბატონო რამაზ, თავისთავად საინტერესოა გოგაშვილის კარიერული წინსვლა. უბრეცდენტო ფაქტია, როდესაც ყოველგვარი შესწავლის გარეშე ბაზარში მოვაქვრე ადამიანი სხვა ძალაგანი უწყების მალაჩინოსანი და რაც საინტერესოა, არც შესაბამისი განათლება არ აქვს. ჩანს თუ არა, რომ ვიღაცა დაინტერესებული იყო გოგაშვილი ძალიან სისტემაში მოხვედრილიყო და ვინ არის ეს ვიღაცა?

– მარტო მე არ მიჩნდება ეს კითხვა – როგორ მოხდა მისი დანიშნულება? ძალიან ბევრი „ქართული ოცნების“ მომხრე სვამს ამ კითხვას. გოგაშვილი შავი ლაქა „ქართული ოცნებისთვის“ და ლაქა დაარჩება, თუ არ მოიმიწინა. ლაქა, იმის ლაქა, რომ ის იზრდება და ფარავს ტერიტორიას. ასე დაფარა გოგაშვილი თავისი ტალახით მთელი რიგი სტრუქტურები, უწყებები და ადამიანები. ამიტომ, გასაგები უნდა იყოს საზოგადოებისთვის რა ხდება ამ ბრალდებების უკან – ეს არის გოგაშვილის თვითშემოქმედება იმისთვის, რომ თავი გადაიჩინოს, თუ არის რაღაცა სიმართლის მარცხალი? იმ შემთხვევაში, თუ მისი სიტყვების თუნდაც 10% არის სიმართლე, ეს 10% უნდა იყოს საზოგადოების წინაშე წარმოჩენილი.

– საქართველო რომ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებისთვის მოწყობილია?

მაინც, ვისი იმედით გლიკინებს ამდენს გოგაშვილი?!

რებისთვის მოწყობილი ქვეყანა, ცხადია და ასე იყო გამსახურების პერიოდიდან. ვიცით ძალიან ვინ უწყების პირველი პირები, რომლებიც რუსეთმა შეიფარა – კიტოვანი, საბურქაძე, გიორგაძე და ა.შ. როგორ ფიქრობთ, გოგაშვილი იყო რუსეთის სპეცსამსახურებისთვის საინტერესო ფიგურა, რომელიც გააკეთებდა იმას, რაც მათ ინტერესებში შედიოდა? ფაქტია, რომ ინერდა ყველას და ყველაფერს, ჩვენ ხომ არ ვიცით რა ინფორმაცია გაიტანა ქვეყნიდან, რას აკეთებდა ქვეყნის წინააღმდეგ? ფაქტია, რომ სასელნიფოს წინააღმდეგ მოქმედებდა...

– გამადიდებელი შუშით ვაღვევებთ თვალს უკრაინაში მიმდინარე პროცესებს. ვხედავთ, რომ რუსული სპეცსამსახურების გავლენა უკრაინაში დღემდე პრობლემაა. ეს პოსტსტაქთა ქვეყნების ზოგადი უბედურებაა. იყო დიდი საბჭოთა კავშირი, რომელსაც უამრავი სისტემა გააჩნდა, ერთ-ერთი იყო უშიშროება. ყველა სხვა სისტემისგან განსხვავებით უშიშროების სისტემები და ჯარი ხაზგასმით რუსული იყო, ვინაიდან სწორედ უშიშროებას და ჯარს უნდა დაეცვა რუსული ინტერესები. საბჭოთა კავშირის დაშლის დროს სწორედ უშიშროების სისტემები უწყდა ხელს საბჭოთა კავშირის დაშლას იმისთვის, რომ რუსეთი გადარჩენილიყო. ძირითადი ბირთვი იყვნენ რუსები, მაგრამ შემსრუ-

ლებლები იყვნენ ადგილობრივები. ამიტომ, ვინ, რომელ ქვეყანას ემსახურებოდა, ხშირად ბუნდოვანი იყო ყველგან და მათ შორის ჩვენთან, საქართველოში.

მახსოვს, დამირეკა ედუარდ შევარდნაძემ და როგორც პრემიერს მითხრა ასეთი რამ: „გადავი ვარდიკო ნადიბაიძეს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრია და არა რუსეთის“. როცა ვკითხე, რა მოხდა, მიპასუხა, რომ ჯერ იმას ურეკავს, ანუ რუსეთის პრეზიდენტს და მერე მეო. ასე მუშაობდა შევარდნაძის დროს მთელი მინისტრთა კაბინეტი. ჯერ მოსკოვში რეკავდნენ და მერე შევარდნაძესთან. ამ პერიოდში უშიშროება ყველაზე უფრო საშიში იყო. ერთი ჰეროიდი მთელი მინისტრთა კაბინეტი და სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც მინისტრთა კაბინეტში არ შედიოდნენ, ფაქტობრივად, რუსეთის მიერ იყვნენ დანიშნულნი.

ბალტიკა შევარდნაძისგან მიიღო თხოვნა დახმარებაზე, ამ დახმარების საფასურად რუსეთმა შევარდნაძეს დაუდო სიები და ამ სიებით დასმული ხალხი მართავდა დიდხანს ქვეყანას. იმ წარსულიდან ვინ შეჩა და რამდენად გაინწინდა, ძნელი სათქმელია. მე არ შემიძლია გოგაშვილს პირდაპირ დავებრალო რუსეთის აგენტობა, ეს შეიძლება დიდი პატივი იყოს მისთვის, მაგრამ მრჩება შთაბეჭდილება, რომ გოგაშვილი ყველაფერზე იქნებოდა თანახმა, გააჩნია, ვინ რას შესთავაზებდა. ფაქტია, რომ ვიღაცის ინტერესი იყო ყასაბი, ხორცის დახლიდან, ყოველგვარი სპეციალური შესწავლის გარეშე დაესვა მაღალ თანამდებობაზე.

თვითონ გოგაშვილი იხსენებს, რომ ვამონებდით ელჩების კანდიდატურებს და ორზე არ მივეცი თანხმობა. ე.ი. ელჩების კანდიდატურების შემონგება სპეცსამსახურების მიერ კანონით ხდებოდა, მაშინ თვითონ გოგაშვილმა რატომ არ გაიარა ასეთი შემონგება? ე.ი. ვიღაცა იყო დაინტერესებული და ყოველგვარი შემონგების გარეშე ამ საზღვარზე ისე გადაატარა გოგაშვილი, რომ აღმოჩნდა ძალიან სტრუქტურაში.

– კიდევ ერთი ბრალდება, რომელსაც სუს-ის ყოფილი მალაჩინოსანი ახმოვანებს, ეს არის ხელისუფლების პრორუსულია. ის, რომ საქართველოს მართავს პრორუსული ხელისუფლება, ამას ამბობს ის ოპოზიცია, რომელიც დღეს გოგაშვილს „რეჟიმის“ მსხვერპლს უწოდებს. ბატონო რამაზ, არის ეს ხელისუფლება პრორუსული და სად, რა წინილი ჩანს მისი პრორუსულია?


– გოგაშვილი თითქოს იძლევა მაგ ფაქტებს, როცა ამბობს, რომ ვიღაცა ვიღაცას შეხვდა და, რომ საზღვარი შეიძლება ისე გადაეკვეთა რაღაც ტვირთს, არ დარეგისტრირებულიყო და ა.შ. გაპროცესული არ არის, სწორედ ამ ბრალდებებისთვის არის ალაპარაკებული გოგაშვილი. ხელი-სუფლება საყვედურობს ევროპელებს და უკრაინელებს, რომ დაგვიდეთ ფაქტები, რომელიც ადასტურებს „ქართული ოცნების“ პრორუსულობას, მაგრამ ისინი ვერ დებენ ამ ფაქტებს. იქნებ, გოგაშვილის ფუნქცია სწორედ ეგ არის, რომ ასეთი ფაქტები დადოს – შეთხზული, თუ რეალური, ეს უკვე გასარკვევია.

– რაც შეეხება გოგაშვილის გარეშე ამ საკითხს?

– რა ფაქტები გამოჩნდება არ ვიცი. მაგრამ შევხედოთ ლოგიკას – ჩინეთი, რომელიც თავისი სიძლიერით მეორეა მსოფლიოში, იმასაც არ ხურს რუსეთთან ურთიერთობა. ვნახეთ, რომ ჩინეთმა არ მისცა რაკეტები რუსეთს და ჩრდილოეთ კორეიდან მოუწია შექმნა. ანალოგიურად, ბევრ რამეს თავს არიდებს თურქეთი, ამერიკიდან მოდის სანქციების ასალი პაკეტი. როცა ამდენი ქვეყანა ზურგს აქცევს რუსეთს, რომელიც გარდის ქვეყანაა, ამ პირობებში საქართველოს რა ინტერესი უნდა აქვს, რომ განამტკიცოს რუსეთთან ურთიერთობა? ეს იმ ფონზე, როდესაც ვნახეთ რა მდგომარეობაში ჩააგდო სომხეთი – დაუთმო აზერბაიჯანს. ასეთ რუსეთთან, მით უმეტეს სომხური მაგალითის ფონზე, რატომ უნდა უნდოდეს საქართველოს რუსეთისკენ სვლა, ლოგიკა ხომ უნდა არსებობდეს?! მაგრამ ლოგიკა არავის არ აინტერესებს.

ესაუბრა თამაზ ძარჩავა

რაგონ ალაშქრის მიანიჭა საქართველომ ლტოლვილის სტატუსი?
2022 წლის აპრილ-ნაბივარში საქართველომ ლტოლვილის სტატუსი 17 პირს მიანიჭა.
სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით, წელს საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მიღების მიმართულებით ლიდერები ავღანეთის და ეგვიპტის მოქალაქეები არიან.
2021 წლის იანვარ-ივნისში საქართველომ ლტოლვილის სტატუსი მიანიჭა შემდეგი ქვეყნების მოქალაქეებს:
ავღანეთი – 5
ეგვიპტე – 4
სირია – 1
პაკისტანი – 1
თურქეთი – 1
დაუდგენელი მოქალაქეობა – 5
2021 წელს საქართველომ ლტოლვილის სტატუსი 21 პირს მიანიჭა, საიდანაც ყველაზე მეტნი ირანის მოქალაქეები არიან. 2020 წლის მაჩვენებლებით კი საქართველომ ლტოლვილის სტატუსი 42 პირს მიანიჭა.
ლტოლვილის სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც იმყოფება წარმოშობის ქვეყნის გარეთ, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, და არ შე-



პროფესორმა გურამ კიკნაძემ ამ ბოლო დროს გელეექტრობასაც გამოკვრა ხელი. ღმერთმა ხელი მოუშარტოს, მაგრამ დიდი ხნის წინათ ვურჩიე, რუსთველოლოგიური საკითხების რკვევაზე ხელი აეღო, ოღონდ არ დამიჯერა. როგორცა ჩანს, სული გახელეულია - ხშირად დასძლევს ხოლმე ცდუნება - და სწორედ ამისი შედეგია მკვლევრის მორიგი გელემარცვილობა.

მეცნიერის რუსთველოლოგიური მსჯელობა, რომლის შესახებაც ქვემოთაღნიშნულ მოგახსენებთ, არაერთხელ გაიმეორა სატელევიზიო არხში და, მაყურებელს რომ მცდარი წარმოდგენა არ შეექმნეს რუსთველსა და მის პერსონაჟებზე, საკმაოდ ფართოდ ვისაუბრებ ლექციის 9 უმთავრეს შეცდომაზე.

მაშასადამე, შეიძლება სისრულის, ერთიანობის, მდინერების, სიმშვიდის სიმბოლოა და არც ის გვეჩვენება შემთხვევითად, რომ ამ რუსთველის სიმბოლოური მნიშვნელობებიდან ქართველმა კაცმა უპირატესობა მიანიჭა ერთ მათგანს და ასე შეიქმნა სიტყვები: მ - შეილ - ი, სი - მ - შეილ - ე, გურული სოფლის სახელწოდება მ - შეილ - ობა - ური.

ამავე საკითხებზე ვრცელი წერილი გამოაქვეყნა ცნობილმა მკვლევარმა ნესტან სულავეამ, მაგრამ რაღა შორს წავიდეთ, ენახოთ, რა წერია 2009 წ. გამოსულ ჩემს მონოგრაფიაში: „ვეფხისტყაოსანში ციფრი შეილი დაახლოებით 10-12-ჯერ არის გამოყენებული. აქედან ზოგან პირდაპირი მნიშვნელობა აქვს და ჩვენს ინტერესს არ იწვევს. უფრო საკულისხმოა ის შემთხვევები, სადაც „შეილის“ უკან ერთი შეხედვით უჩინარი შინაარსი დგას. ეს ფრაზები: „შეილი ტახტი სახელმწიფო“ („ინდო-ხატელთა ამბავში“); „ინდოეთს შეილითა მეფეთა“ (გვ. 81). ამ გამოთქმებზე ზოგმა მთელი მოსაზრება აავი, მეტისმეტად აღვირახსნილი ფანტაზიორობა გამო-

1. მომხსენებელმა დაბეჭდილობით მრძანა: პოემაში ყველა გონიერია, ხოლო ტარიელი კი სიმრძნით არასოდეს გამოიჩინებოდა!

უჩინარეს ყოვლისა, თორიულად განვსაჯოთ ეგ საკითხი: რუსთველი მიჯნურის აუცილებელ ათ თვისებას გამოყოფს:

- მიჯნურსა თვალად სიტურფე (1) მართებს მართ ვითა მზეობა, სიმრძნე (2), სიუხვე (3), სიმდიდრე (4), სიყრმე (5) და მოცალეობა (6), ენა (7), გონება (8), დათმობა (9), მძლეთა მებრძოლთა მძლობა (10).

როგორცა ვხედავთ, სიმრძნე მთელ აუცილებლობად არის წარმოდგენილი და უამთვისებოდ მწერალი პერსონაჟს ვერ დააგდებდა. მით უფრო, რომ ტარიელი გახლავთ ცენტრალური გმირი, ინდოეთის ამბავი კი ქმნილების მთავარი ამბავია (ამაზე ქვემოთ კვლავ ვიტყვი).

მაშასადამე, თორიულად დაუშვებელია, მიჯნური ამირბარი არ ყოფილიყო მრძენი.

მრავლისმეტყველია მთელი არგუმენტი: ქმნილებში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ტარიელი მრძენია არა მარტო მოგვიანებით, ასაკში შესული, არამედ სიყმაწვილეშიც. ფირდოუსის, ნინამის თხზულებებში, „გრივოლ ხანძრის ცხოვრებასა“ და მეგრ სხვა ნაშრომში მთავარი გმირები სწორედ იმით გამოირჩევიან, რომ არიან „ყმაწვილი მრძენი“. თვით „ვეფხისტყაოსანში“ ამაზე მითითება. ჯერ კიდევ პირტიველა, სრულიად ნორჩ მთავარსარდალს ხატეობი საომრად წაყოლილი ხნოვანი სარდლები პირდაპირ ეუბნებიან, მრძენი ახალგაზრდა ხარო. ამირბარი თავად ჰყვება:

მითხრეს, თუ: „ხარო ყმაწვილი მრძენი, მით გვადრებთ გლახენით.“

„მრძენი ყმაწვილის“ თაობაზე მთელი მონოგრაფიის დაწერა შეიძლება, ოღონდ ამჟამად საამისოდ არა გვცხვება.

არგუმენტი მესამე:

ახლა შევათვალიეროთ ფაქტობრივი ვითარება. ბატონ ზურაბს მხედველობიდან გამოჰპარვია, რომ პერსონაჟთა სიმრძნის თაობაზე საგანგებოდ გამოკვლევაც არის დაბეჭდილი, სადაც განადგურებულია მცდარი მოსაზრება, თითქოსდა პოემაში ავთანდილი იყოს ყველაზე მრძენი, ხოლო სხვანი - ნაკლებ გონიერი; მოყვანილი და აღნუსხულია პერსონაჟთა სიმრძნის გამოხატულები აფორიზმებში და გამოტანილია დასკვნა: ავთანდილზე მოდის 85 აფორიზმი, ტარიელზე - 35, თინათინზე - 5, როსტევეანზე - 12, სოგრაბზე - 8, ასმათზე - 12, ფრიდონზე - 6, ნესტანზე - 20, ფატმანზე - 11, სხვებზე - 5. იქვე ახსნილია, თუ რამ განაპირობა ეს. ეგ განაპირობა პერსონაჟთა „სცენაზე ყოფნის“ ხანგრძლივობა: ყველაზე დიდხანს მოქმედებს ავთანდილი. ამიტომაც ის ყველაზე მეტ აფორიზმს წარმოთქვამს; ამ მხრივ მთელი ადგილზე ტარიელი, შემდეგ - ნესტანი. აფორიზმებში ამისდა მიხედვითაა წარმოდგენილი. გამოკვლევაში ისიცაა გარკვეული, რომ ტარიელის ცხოვრებაში გამოიყოფა სამი პერიოდი: ხანა ნორმალური ვითარებისა; დამხედლობის, უგუნურობის, დაქცევის ხანა და დრო, როცა გმირს სულიერი კრიზისი მოეხსენება. სწორედ ამან განაპირობა, რომ ტარიელი გამოთქვამს 35 სიმრძნის, ავთანდილი - 85 აფორიზმს. მოვიყვანო სტატიის ერთ მონაკვეთს: „ავთანდილი რომ დაუკვირვებლად უსაყვედურებს: „მრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი მრძენთა თემსა“ (885), ტარიელი იქვე მოსწრებულად უპასუხებს: „მრძენი, ვინ მრძენი, რა მრძენი? ხელი ვითა იქმნ მრძნობასა?! ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცა ვიყო ცნობასა!“ (895). ტარიელის ცხოვრების ამ მთელ, ტრაგიკული პერიოდის არსს ამომწურავად ხსნის ასმათი: „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდია: რა გული წავა, იგივე წავლენ და მისკენ მიდიან“ (857). მამ, პოემაშივეა ახსნილი ტარიელის ყოფის II პერიოდის საფუძველი: სატრფილკარგული რაინდი შმაგ მაჯუნადა ქცეული; გული გაუჭეჭმა, ხოლო ცნობიერება და გონი გულზე და მოკიდებულა. აი, სწორედ დახვედლობის პერიოდის ტა-

პროფესორის ტელემატროპილობა

ერთი ტელეგადაცემის ცხრა შეცდომა

რეალია ძირითადად ჩვენ წინაშე წარმოსახული და ამიტომაც გვეჩვენება, თითქოსდა ტარიელის დროებითი მდგომარეობის პერიოდი მარადიულია და სწორედ ეგაა პერსონაჟის მთავარი მახასიათებელი. არა! ეგ დროებითი ვითარებაა. მსგავსი სიტუაციაში რომ აღმოჩენილიყო, შესაძლოა, ავთანდილიც მსგავსადვე დახვედლილი გვეხილა!

ამრიგად, სპასპეტის ყოფის ყველა ეტაპი და ამირბარის ცხოვრების I და III ეტაპები იდენტურია; მათ შორის სხვაობას თითქმის ვერ აღმოვაჩენთ და ამ დროს ამირბარიც ისე მრავალპლანია და დინამიკური გმირია, როგორც - სპასპეტი“ (მ. თავიშვილი, „ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ-კულტურული პორტრეტების დახვედლობისათვის“, ურნალი „პარალელი“, 2020, №12, გვ. 119).

შეიძლება ითქვას მეტიც: თუ ერთმანეთს შევადარებთ ტარიელის ცხოვრების I და III ხანასა და ავთანდილის მთლიან ყოფას, შევნიშნავთ: ამ ვითარებაში პროცენტულად ტარიელი უფრო მრძენი გამოჩნდება, ვიდრე - ავთანდილი. ერთსაც დაეცხვად: ყველაფერი ისე წარმართება, გმირები ისე მოქმედებენ, როგორც ამას ყველაზე გონიერი და მრძენი პერსონაჟი გადაწყვეტს. კიდევ მეტი: ქაჯეთის ციხეზე შეტევის წინ სამი რაინდი თათბირს გამართავს. ამ თათბირზე ყველაზე გონიერულ გეგმას სწორედ ამირბარი წარმოადგენს.

ესეც იმის დასტურია, რომ ცენტრალური პერსონაჟი ყველაზე მრძენია!

მაშასადამე, ტელეგადაცემის დეზადი - ტარიელი არ გამოიჩინებია სიმრძნით - არის მდებარეული, მოჩვენებითი, ილუზორული და არაყენიერული.

2. ბატონმა გურამმა ქალწულმკვრივი სიმორცხვით განაცხადა (როცა ქაჯეთის აღმდგომი ამბავი მოამბა): **ამ დროს ფარსადანი** (ნესტანის მამა) **ცოცხალია თუ არა, არ ვიცი!**

ამ განცხადებით სწავლულმა ხარაკერი გაიკეთა: საკუთარი პირით აღიარა, პოემა ბოლომდე არ წამოკითხავს! ბოლომდე რომ წაეკითხა, დაინახავდა: ფარსადანის სიკვდილის ამბავს გმირები გაიკვებენ ბოლო თავებში, როცა არაბული ლაშქრის თანხლებით ინდოეთისაკენ მიიქაჩიან, რათა იქ შეჭრილი ხატელები ალაგონ, ხოლო იმ დროს, როცა ნესტანი სატრფოს ქაჯთა ციხიდან წერილსა სწერს, მამამისი ჯერ კიდევ ცოცხალია. ქალი სატრფოს მოუწოდებს: „ჩადი, ინდოეთს მიჰპარეთ, არგე რა ჩემსა მშობელსა!“

უსტარში „მშობლად“ ფარსადანს მეფეა ნაკულისხმევი. და აქ თავს მაძალებს ჩემივე აფორიზმი: **როცა რაიმე არ იცი, არ იცი ძალიან კარგად.**

3. ქალწულ პარადს არ სცოდნია ჩვენს ორატორს ცნება **„შვილი“ და მისი აზრები**. აკაკი რომ ნურს, **„შვილ სამთავროს მოგვამონებს მოუშპარა რა ის შვილფერი“**, გულისხმობს გედინარების, სისამის, მთლიანობის სიმბოლოებად გამოხატულ ციფრს - 7.

საქმე ისაა, რომ ამ იდუმალი შვილის მეტაფორულ-სიმბოლოური არსი კარგადაა დამუშავებული



მსოფლიო მეცნიერებაში. ასევე კარგადაა ცნობილი **შვილი საცნობელი**, სისრულისა და ერთიანობის გამოხატულება. ფარსადანი იგი ასე გამოიხატება: **ვათე ყვლიმ-ე ვოჯუდ** - არსობის შვილი ელემენტი, აღამანის შვილი ნაწილი: ორი ფეხი, ორი ხელი, ტანი, თავი, კისერი (იხ. „ქილილა და დამანა“, 1035, მაგალი თოდუას რედაქცია, 1975).

პერსონის გმირობის სისრულეს სწორედ ის ეამოხატავდა, თუ იგი 7 გმირობას ჩაიღებდა. ასეთია „შპა-ნამეს“ პერსონაჟი გომთასფი - ის 7 გმირობას სჩადის, ანუ სრული გმირია.

შვილი პირობითი ციფრია, მდინერების მეტაფორული გამოხატულება. ამიტომ არც ისაა შემთხვევითი, რომ ნინამის ერთ „მდინერ“ პოემას ეწოდება „შვილი მთიები“ (შვილი მნათობი); არაა საკვლევებელი, რომ მდინერ ხელმწიფეს მართლა შვილი სამეფო (მხარე ან გავარი) ემორჩილებოდა. შესაძლოა, რეალურად ერთი ან ორი ემონებოდეს, ოღონდ რა მდინერა? მეხოტბე ამ ხელმწიფეს მინც შვილი იყლიმის მზრძანებელს ეძახის. მაგალითად, მეგოლი, ინდოეთ მეფე, „შპა-ნამეს“ მიხედვით, 7 ლოკალური ხელმწიფის უფროსია. როცა იგი თავის სიძეს ბარამ-ჯურს ესტუმრება, თან ახლავს 7 ხელმწიფე, ოღონდ არც ერთი არაა „კეისარი“ (მ. თავიშვილი, ფირდოუსი და რუსთველი, 2009, გვ. 25).

იჩინა. ფანტაზიის ასეთი „გაჭენების“ მოღა ირანშიც შემოსულა: „საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ როსთამის შვილ გმირობაში შვილ მისტიკურ სიმბოლოს ხელდაეგნ“ (მ. თოდუა, ფირდოუსი და მისი „შპა-ნამე“, გვ. 75). სინამდვილეში ციფრი 7 სისრულეს (მთლიანობას) აღნიშნავს. მეტაფორულად იგი გულისხმობს მთელ ქვეყნიერებას; როცა 7 მხარესა და სამეფოზეა საუბარი, უნდა ვიცოდეთ: იგი ფარავს იმ გამოთქმას, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში სხვა ფორმულით არის გამოხატული და რაც აღმოსავლური ლიტერატურის ცნობილი და პოპულარული სახეა: „ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად“ (გვ. 311). ქართული პოემის ამ ტაქტის მეტა-სტრუქტურულიდან გვეტოვობს, რომ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მტრისთვის შიშის ზარის დამცემი ყოფილა სოსლანი, ქართველთა მეფე და ღმერთი.

ეს ფორმული „შპა-ნამეს“ ლამის ყველა ქვეთავში გვეხვება; თითქმის ყველა შპაინშიპი მთელი ქვეყნიერების ანდა 7 სამეფოს (მიწის), ანდა „აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“ ტერიტორიის პატრონია... მამ, ძველად მეფეებს გამგვიადებულად ასე მოიხსენიებდნენ: „აღმოსავლეთისა და დასავლეთის მპყრობელი“. ეს შიშვროლიზებული ეპითეტი არაერთგან გამოუყენებია აზულ ყასემ თუსს: დიდება შპას, ხე-

ლი რომ მიუწევდებოდა „აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“ (3, 16815); შვილი მამამისზე, გომთასზე, ამბობს: „დასავლეთი ემორჩილება მას და აღმოსავლეთი“ (4, 7038)... ახლა სხვა მაგალითებიც გავსინჯოთ. მეფე არდაშირი ბრძანებს: „მე ხომ მიწის შვიდივე მხარე მემორჩილება“ (5, 5953)... დაიბადა ბარამ-გური, იგბდიველ პირველის მემკვიდრე. მას უწინაწარმეტყველებდნენ ზღვრითი ხელმწიფობა, რაც მთავარია, მამამისი დაიბრუნეს; შვილი მხარის მიწები დაქვემდებარება მას (5, 8855); სხვა მაგალითი ასეთია: შვილი მიწის პატრონს სხვაგვარად ეწოდება „მეფე მსოფლიომპყრობელი“ (5, 13025)... ჰუმანიტარული „მედიცინა“ მყარობდა („მამ-ნამე“, მოთხრობილი მაგალითი თოდუსს მიერ, გვ. 6). აი, თუ როგორ უნდა გვემხოდეს მითითებული გამოთქმები: ისინი პიპერნოლიზებული გამოთქმები და, შესაძლოა, პირმოთხე ქვეყნადომმა სუსტ და უეფერგილო მეფესაც კი უწოდებს. ქართულ ენოპეაში გვაქვს ამგვარი ვითარება: სარიდან ხელმწიფეს ინდოეთის ერთი მხარე, ერთი სამეფო უყურია. ექვსს პატრონობს ფარსადანი, ოღონდ, რაკი შვიდივე მხარე არ ეუთხვის, ის არ არის „აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“ არსებული ქვეყნიერების, ე.ი. მთელი ქვეყნიერების, მზრანებელი. აქეთაღ იგი მალე იქცა, რაკილა სარიდანმა ნებაყოფლობით იკისრა მისი ვასალობა. ასე გაერთიანდა მთელი ინდოეთი, გაკეთდა პატრიარქული საქმე, ოღონდ, ამასთან ერთად, ფარსადანი ვადა მთელი ქვეყნიერების ხელმწიფე, სრული მპყრობელი, ანუ კეისარი. სარიდანს თუყვია კი მეფედ დარჩა, ოღონდ პრინციის პატრონად. მას არა აქვს „კეისარობა“, ე.ი. ის არ არის „აღმოსავლეთიდან დასავლეთის მართა მარნებელი“. „ინდო-ხატველთა ამბავები“ კიდევ ერთხელ გამოჩნდება ეს გამოთქმა. კერძოდ, იქ ნათქვამია, რომ „ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი - შვიდი ტახტი სახელმწიფო, სამეფოელი გუყედელი“... მამასადავ, ტარიელი ვადა „აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“ მხარის მპყრობელი, ანუ მთელი ქვეყნიერების (შვიდივე მხარის) მზრანებელი. ამრიგად, სპარსულ და ქართულ პოემაში პირობითი და პიპერნოლიზებული მხატვრული ფიგურა ერთნაირად არის გამოყენებული“ (ფილოლოგიის და ისტორიის, გვ. 95-96).

მამასადავ, რუსთველისთვის არავითარი ისტორიული შვიდი ინდოეთი არ არსებულა სწორედ ისე, როგორც არავითარი შვიდი ივერია არ არსებობდა აკაკი წერეთლისათვის.

რა ვქნა, რომ ერთობ მენიავებმა ჩემი აფორიზმი: **როცა რაიმე არ იყი, არ იყი საფუძვლიანად!**

4. სარიდანმა თამისი ნვით პი არ დამო სამოხარო, არავად იძულებით დამომოხინსო.

ზოგჯერ ასე ხდება: როცა ტექსტი ზედმიწევნით არ ვიცით, შემოქმედს თანავატორად ვუხდებით და „ვეხმარებით“ იდეების რეალიზებაში. რუსთველის თანავატორობა დაიხატა რომ სასახელია! მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ დაუკრფავები გადავდივართ. პოემის სწორედ ამგვარი შესწორება, როცა ვამბობთ იმის საპირისპიროს, რაც ტექსტში მკაფიოდ და უთუხავად არის მითითებული. იქ წერია: ფარსადანი უწყევდა იქა ტახტზე; მტერი და დუმანი დაეთრგუნა. ვერც ცხადად, ვერც ფარულად ვერავინ ვერას უკადრებდა; კანზე უჭონდა ზეიმი და ბარები, მაგრამ მართობა მოსწყინდა, ცალკე სამვილითილო საქმის გაკეთების სურვილი აღედგრა და პატრონმყრი ინსტიტუტის წესთა სრული დაცვით ინდოეთის ექვსი (არასრული) სამეფოს პატრონის მფარველობა სთხოვა. იქვე მკაფიოდ, არაორზროვნად, არის მითითებული ამის მთავარი მოტივი: ქვეყნის წინაშე „სახელი დარჩეს ჩემისა ერთგულად ნამსახურისა“.

რუსთველს ხელისგულზე ედო ისტორიული ფაქტი - იოანე მარუშისძის როლი ივერიის გაერთიანების საქმეში - და თავის ამბავსაც ამ თარგზე თხზავს. მამ, რუსთველი ქმნის მყარ, უდავო, უნაკლო საფუძველს: ფარსადანს არავინ ამინებდა, არავინ აიძულებდა გადაეცა ესა თუ ის ნამიჯი, მაგრამ გამოიჩინა პირადი ინიციატივა და მოგვევლინა სანიშნო მოქალაქედ. ამით ავტორი ამაღლებს თავის პერსონაჟს, გვიხატავს უანგარო, უებრო მამულიშვილად; პროფესორი კი დაბლა ექანება ამ მაღალ თამასს და ამირზანის კეთილშობილ მამას კეთილშობილების შარავანდებს ართმევს, ჩვეულებრივი ქვეგამხედვარი ფეოდალის როლს აკისრებს. აქედან ვარგადა ჩანს:

მატონ ზურაბს რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაეწერა, არა სულმადბალი, უღირსი პიროვნება გამოვიდოდა ეგ ამაღლებული პერსონაჟი; იგი იქნებოდა ქლესა, გლისიპი, ფლოდი და მშობარა. ასე რომ, პროფესორს ადამიანისა არა სწამს. არადა გვიცხადებს, ღმერთი მქამსო!

ვერ დავეუწერებ, რადგან ღვთის რწმენა აღამიანის რწმენით იწყება.

მამ, ასე: არსად და არსიდან ჩანს, ერთი სიტყვაც კი არაა სადმე გადაკრული იმაზე, რომ სარიდანს ვინმემ აიძულა, დამოუკიდებლობა დაეთმო. ამიტომაცაა საკანგებოდ ხატვასმული: „ვეფხისტყაოდრების წყენასა, ვერც ცხადი, ვერცა მპარავი“. აქ ფარსადანის იგულისხმება!

5. შვილად მპარული სახელმწიფოს მეთანხმება მერა დარდლავო, - ბრძანებს ორატორი.

სინამდვილეში არავითარი პატრონმყერი შეთანხმება არ დარღვეულა. პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა, გამტკიცდა, გამყარდა. აი, თუ რატომ: ფარსადანმა უკრთონად დააფასა სარიდანის ეგ მამულიშვილური ნამიჯი: გაერთიანებული ქვეყნის მერე კაცად დანებდა - ერთდროულად არგუნა ორი სახელი: ამირზანობა (შინაგან საქმეთა მინისტრი) და მთავარსარდლობაც. ამავე დროს, სიტყვითაც შეამო: შენისთანა ამირზანი ქვეყნიერებაზე არავის არა უყავს; ვარდა ამისა, ეძმო, ემამა და ეთავყვანა. ერთი სიტყვით, ორივე უპაყოფილი დარჩა, ხოლო ქვეყანაში სისრულის განცდამ და მდინეინებამ დაისადგურა.

კიდევ მეტი: ფარსადანს შვილი არ უყავდა და, როცა შემთხვევით სარიდანსა და მის ცოლს ტარიელი გაუჩნდათ, „ვეისარმა“ კიდევ ერთი პატივი მიავლო თავის თანამემრძოლ მეფეს, უთხრა, მოდი, ვიშვილებ მაგ ყმანელს და მემკვიდრედ, მომავალ მეფედ გავგზდილი!

სარიდანს დიდას ის, რაზედაც არც როდის უფიქრია - მან დათესა ქვრივი (ფეტვი) და უნებლიეთ მარგალიტი მოიპოო.

რა შეთანხმების დარღვევაზე შეიძლება აქ ლაპარაკი?

არავითარი „საშვილო“ და „სამშვილო“ შეთანხმება არ დარღვეულა, პირიქით, ფარსადანის მხრივ, თავდაპირველ პატრონმყერ შეთანხმებაზე მეტი გავიდა. სარიდანს ისე ვარდაიცვალა, უპაყოფილო არ დარჩენილა.

ასე შექმნეს ამ ადამიანებმა დიდი ისტორია. მართალია, ამ საქმეში ღვთის ხელიც ტრიალებდა, მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ: ისტორიას ქმნიან ადამიანები. უადამიანოდ ისტორიას მამაღმერთიც ვერ შექმნიდა!

6. შვილემპრონი გულუგზვილუს გაგედულებით ახსნადვს: პოემას სამი დასასრული აქვსო.

მკითხველი უჩემოდაც ხვდება: შეუძლებელია ერთ პოემას სამი დასასრული უჭონდეს! სინამდვილეში მომხსენებელს უნდა ეთქვა: სხვადასხვა მკვლევარი დასასრულს სხვადასხვაგვარად ხედავს. თქმული კი, რა თქმა უნდა, ულოგოვა და ყოველად მიუღებელი. ისე კი მე, როგორც რუსთველილოგი, მოვახსენებთ: პოემა მთავრდება მაშინ, როცა ცენტრალური გმირები (ტარიელი და ნესტანი) ინდოეთში ქორწილს გადაიქვნიან, „ქვარს იფსკვნიან“ და ტახტზე მორგებით დასხდებიან, ხოლო რუსთველი სიამოვნებით დასძენს: შესაფერისი ვაჟი შესაფერისი ქალს ვერო, ანუ აღსრულდა „მოყალეობის“ (ქალის ცალთან შეწყვილების) პრინციპი. მომხსენებელმა, როგორც ფოლკლორისტიკა, ის აუცილებელი ცოდნა, რომელიც მას, როგორც ამ დარგის სპეციალისტს, აქვს, პოემის დასასრულის პრობლემის გერგილიანად გადასატყურად ვერ გამოიყვანა.

მე კი შევახსენებ: ქართულ ზღაპარს მსჭვალავს მყარი აუცილებელი მოტივები, შტამები. ესენია: სამი ძმის მოტივი; გამარჯვებული უმცროსი ძმის მოტივი; დევისა და დევთა ქვამის მოტივი; დევის ქალის (ცოლის, ქალიშვილის ან დედის) მოტივი; გამარჯვებული წყვილის მდინეინების გამოხატვა ერთი რიტუალით: დაქორწინებითა და აგრეთვე ტახტზე ასვლით (გახელმწიფებით).

ყოველი მათგანი მოკლედ და სქემატურად მივეყვით ქართული ზღაპრის ზედმიწევნით მცოდნე რუსთველის ნამუშევრებს.

ეპოპეაში მოცემულია სამი ძმის ერთობა: „მათ, სამთა გმირთა მნათობთა, სჭინს ერთმანერთის მონება“. ესენი კი არიან: ტარიელი, ფრიდონი, ავთანდილი.

ეპოპეაში აშკარად საცნაური უმცროსი გამარჯვებული ძმის ამბავი: ამოყანის გადაწყვეტას უკრცდობს ყველაზე უფროსი - ტარიელი. მას არა აფერი გამოსდის; მერედ დაკარგული მამულინახავის აღმოჩენას შეეცდება შუათანა ძმა - ფრიდონი. მასაც კოვში ნაცარში ჩაუვარდება; მოლოს ბედსა ცდის უმცროსი, პირტიტველა ყმანელი, „კერო უქვერული“ ავთანდილი. ის იოლად იპოვის დაკარგულ „მარგალიტს“.

ეროვნულ ეპოსში მკაფიოდ იკითხება დევისა და დევთა ქვამის ამბავი, ესოდენ დამახასიათებელი ზღაპრისათვის: ტარიელი და ასმათი დევებს ამოხრცავენ, დევთა ქვამში განაპირდებიან, ჩამომორდებიან საზოგადოებას; სპასუხი მიაგენს დევთა ქვამს. როგორც ზღაპარში, ისე აქაც „დევნი“ (ტარიელი) შინ არ არის და სპასუხიც „დევის ქალის“, ასმათის, მეშვეობითა და დახმარებით მიაღწევს შუალედურ მიზანს.

ხალხური ზღაპრის ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივი მოლოა: ავთანდილ-თინათინის და ტარიელ-ნესტანის საბოლოო გამარჯვება გამოხატულია ისე, როგორც ზღაპარში - ერთდროულად იმართება ქორწილთა და კორნაციაც.

ამ კანონის მიხედვით, პოემას აქვს ერთადერთი დასასრული: ამბავი უნდა დაგვირგვინდეს ინდოეთში გამართული ქორწილითა და მთავარი გმი-

რის ტახტზე ასვლით. ეგ კი ხდება „ინდო-ხატველთა ამბავში“. მამ, „ამბავი“ პოემის ორგანული ნაწილია! აი, ზღაპრის ეს უმთავრესი მოტივი ჩვენმა ფოლკლორისტიკამ მკვლევარმა უკრთონად ვერ გამოიყენა პოემის ფინალის პრობლემის საარგუმენტაციოდ.

7. ლექსშირმა განასხადა: მთავარი ქრისტიანული სწავლა „სინალო“ პოემადი სართული არაა ნასესხებო!

არის, არაერთხელ არის ნასესხები: „რაცა ვთქვი, მასცა ვინანი“ (817); „აქ სიშორესა ვინანი“ (837); „არ ვინანი ვარდასრულსა“ (859); „სიყვარულეა სანანელი“ (920); „თვარა დაიწყებ ნანასა“ (1194); „ვარ აქამისცა ნანითა“ (1302); „არა სჭინდეს, არ ინანეს“ (1424); „განანებ მაგ მოყმისა ყოლასა“ (1100); „მისცა სიტყვისა ნანანი“ (1608).

8. ტელეჟმირმა ბრძანა: რა შესაყვარა-გულია ტარიელი!

არადა, რუსთველის ცენტრალური დადებითი გმირი სწორედ ამირზანია; მაგრამ მთავარი ისაა, რომ პროფესორი ლოგოვის ჯაჭვებში გაიხილართა. უკრთონი, გამოდის, რომ პოემის ყველაზე ბრძენსა და ლამაზ ქალს, ნესტან-დარეჯანს, რომლის მსგავსიც დედამიწაზე არავინაა (ნესტ ანდარე უკვანა! არავინაა პირსა ზედა მიწისასა), უაბროლ შეწყვარება ამირზანს; მეორეც, თვითონ ავტორი პროლოგშივე გვაფრთხილებს, რომ მას უგონოდ უყვარს და მოსწონს მთავარი გმირი:

მე, რუსთველი, ხელობითა ვიქ საქმესა ამა დარა; ვის შიშორილოცა ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი (8).

ვისაც ემორჩილება ინდოეთის სპა-ჯარი, იმის სიყვარულითა ვარ გახელებული; მაგრამ ამასაც არა სჯერდება და მკითხველსაც მოუწოდებს, შეიბრალოს ეს „სიყვარულითა გატანული“ გმირი და მისთვის ცნებოც კი დაღვაროს: მო, დაესხდეთ, ტარიელისთვის ცნებოც გვდის შეუშობოლი! პროფესორს დააიწყდა, რომ პოემის პროლოგში არც ერთი (!) გმირის სახელი სახელდებით არაა მოხსენიებული მაშინ, როდესაც ტარიელი ორჯერ ხმინდება.

ესეც ფრიადა მნიშვნელოვანია! მნიშვნელოვანია სხვა რამეც: მსოფლიო ლიტერატურაში პირველი „ტანკული მიჯური“ დახატა ნიშამი, მერე - რუსთველმა; როგორც განკვირვებულს და დარდობს მატუნის ტანკვას, ისე რუსთველი - ტარიელისას. შეუძლებელია ასეთი გმირი XII - XV საუკუნეებში მკითხველს არ მოსწონებოდა და არ შეეყვარებოდა. ამ მოყვარულთა შორის არიან თვითონ ავტორებიც. ერთსაც დავსძენდი:

პოემა იწყება და მთავრდება ავთანდილის (არაბეთის) ამბით, ხოლო ტარიელის (ინდოეთის) ამბავი ჩასმულია არაბეთის ამბავში. ყოველივე ეს უნდა წარმოვიდგინოთ ასე: არაბეთის ამბავი არის ოქროსი მტკედი, რომელშიც ჩასმულია მრლიანტის თვალი, ანუ ინდოეთის ამბავი. მრლიანტი კი ყოველთვის მეტი, ვიდრე - ოქრო. ცენტრალური და საყვარელი პიროვნებად ამადაც გვიხატავს ავტორი ამირზანს, ვისი სახელიც უკვია თავად პოემას - „ვეფხისტყაოსანი“.

9. ამირზანობა არ არის რეალობის ასახვა, შამპინის მსახურში - დიხანო.

ეგ რომ გავიგონე, გავოგნდი: მწერლობის არც ერთი დარგი არ არის ისე რეალისტური, როგორც ავტორზაფია. კიდევ მეტი: ეს დარგი სუპერნატურალისტური დარგია, ფაქტობრივად ბიოგრაფიული რომანებისგან შედგება. „შუშანიკის წამებაში“, „გიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ზედმიწევნით ზუსტად და სარკისებურად არის ასახული იმდროინდელი რეალობა, პირთა ცხოვრება, ყოფა, მიოგრაფიები. ასე ზუსტად და მარჯვედ ისტორიოსიცი კი ვერ აღწერდა სინამდვილეს, ხოლო შექმნილი გამოვლილი, „ნატყარა“ ამგვს გვიყვება და, თუ რეალისტურ ასახვაზე მიდგება საქმე, არა მგონია ამ მხრივ „რომეო და ჯულიეტაში“ გიორგი მერჩულის რომანს მეტოქეობა გაუწიოს.

ტელეჟმირში ომამში სხვაგვარად გვჩვენებს რამ იყო საღამო და მიუღებელი. მხოლოდ აღნიშნულზე თავაბად იმად შვირდო, რამა ამ კრიტიკული წერილის ხერხიანი სათაური გამამართლებს. შამსაქლუა, მამანს ამ სტატიის სმილი თავხედურადაც მომავინოს, ოღონდ ერთსაც დაავსძენ: უმოდინარობის თავხედობას ცოდნის თავხედობა სკოლს, ხოლო მემომარმი მემომარმი ნინამე ჩამე მონინამე არაარმთხელ გამომიხატავს. ახლამ ასაა - მემომარმი ნინამე თავხედობადაც ამბავ შორს ვედარ ნავა: ამ წერილს ისე დაგლა ვანვს ხელს, უფრო მემომარმი მისი ხელმონარა მემომარმი.

მურმან თავდიშვილი
აბვისტო, 2022



**„ღამის სერენადები“
თბილისური
კონსერტებით დასრულდა**

მათუმი-თბილისის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალ „ღამის სერენადები“ თბილისური კონსერტებით დასრულდა.

